„სტაჟირების პროგრამა“

შეხვედრა „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლებთან

2018 წლის 7 ნოემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა მუნიცილპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან. მათ სყუდენტებს გააცნეს სტაჟირების პროგრამა არქიტექტურის და ურბანისტიკის მიმართულებით.

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიზანია:

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვითა და გამოყენებით ქალაქ თბილისის მოქალაქეთა მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;

მოქალაქეთათვის მრავალფეროვანი მომსახურებების და ინოვაციური სერვისების შეთავაზება;

თანამშრომლებისთვის პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

ელექტრონული საქმისწარმოების გამარტივების პროცესის ხელშეწყობა;

ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა;

ერთიანი გეოსივრცით მონაცემთა ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითრება;

სტაჟირების პროგრამის სფერო მოიცავს მოქალაქეთა მომსახურებას არქიტექტურისა და ურბანული განვითარების მიმართულებით.

შერჩეული სტაჟიორები გაივლიან გადამზადებას და აქტიურად ჩაერთვებიან მოქალაქეთა მომსახურების ცენტრების მართვისა და დისტანციური მომსახურების სამსახურის სამუშაო პროცესში. სტაჟირების ხანგრძლიოვობა 3 თვეა.

სტაჟირების წარმატებით გავლის შემდგომ, დადებითი რეკომენდაციის მქონე სტაჟიორებს მიეცემათ ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმების რეალური შესაძლებლობა არქიტექტურული და ურბანული მიმართულებით

რაც სთავაზობს სააგენტო სტაჟიორებს:

პროგრამის ფარგლებში სტაჟიორებს საშუალება ექნებათ:

1.აიმაღლონ ცოდნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურისა და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის მიმართულებით;

2.სრულფასოვნად დაეუფლონ სამშენებლო და სივრცითი დაგეგმარების სფეროში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.

3.შეიძინონ პროფესიული უნარ-ჩვევები მომსახურების გაწევის მიმართულებით;

4.აიმაღლონ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე სტრესულ სიტუაციაში კონცენტრირებულად და ეფექტურად მუშაობის უნარ-ჩვევები;

5.მიიღონ გამოცდილება სხვადასხვა ტიპის მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით.

სტაჟირების მსურველმა უნდა გაიაროს რეგისტარაცია და მიმართოს სააგენტოს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე: info@msda.ge და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

რეზიუმე ფოტოსურათით;

სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 200-250 სიმბოლო).